GRASS FACTCHECK

GRASS
„საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
რეგისტრაციის № 15
25 01 2017

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

ბატონო/ქალბატონო,
„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 37-ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის მე-40-ე მუხლით დადგენილ ვადაში გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

- რა მოცულობის თანხაა გათვალისწინებული 2017 წლის ბიუჯეტის მიხედვით, პედაგოგების სახელფასო ანაზღაურებისთვის (ჯამურად)?
- საქართველოს მასშტაბით, ჯამში სულ რამდენი პედაგოგია დასაქმებული საჯარო სკოლებში?
- საჯარო სკოლებში დასაქმებული პედაგოგებიდან, რამდენს აქვს პრაქტიკოსი პედაგოგის, რამდენს წამყვანისა და რამდენს უფროსი პედაგოგის სტატუსი?
- რამდენს შეადგენს პრაქტიკოსი პედაგოგის საშუალო ხელფასი?
- რამდენს შეადგენს მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოებზე არსებული დანამატები: ა) კლასკომპლექტით სწავლების დანამატი; ბ) არაქართულენოვან/სექტორებზე ქართულის, როგორც მეორე ენის, საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიის სწავლების დანამატი; გ) კლასის დამრიგებლის დანამატი; დ) მოსწავლეებისათვის კლასის დამრიგებლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კურსის წარმართვის დანამატი; ე) სრულზე მეტი დატვირთვისათვის, კვირაში 19-დან 25 საგაკვეთილო საათის ჩათვლით მასწავლებლის სრული განაკვეთის თანამდებობრივ სარგოზე არსებული დანამატი.
- ჯამში სულ რამდენი პედაგოგი სარგებლობს აღნიშნული (თანამდებობრივ სარგოებზე არსებული) დანამატებით?
- იზრდება თუ არა თანამდებობრივ (და არა სტატუსზე მიბმული) სარგოებზე არსებული დანამატი და რამდენით?

GRASS FACTCHECK

- 2016 წელს გაცემული დაპირების მიხედვით *(იხილეთ შესაბამისი ბმული -* http://www.interpressnews.ge/ge/politika/404936-aleqsandre-jejelava-momavali-tslis-pirvelive-thvidan-mastsavleblebis-sashualo-anazghaureba-800-lars-miaghtsevs.html?ar=A*)*, 2017 წლის იანვრიდან, პედაგოგების საშუალო ხელფასი 800 ლარი უნდა ყოფილიყო. თუმცა, მოხდა მხოლოდ უფროსი, წამყვანი და მენტორის სტატუსის მქონე მასწავლებლების დანამატის ზრდა და საშუალო ხელფასი 800 ლარი სწორედ აღნიშნულ კატეგორიას გაუხდა და არა საშუალოდ, ყველა პედაგოგს. გთხოვთ, განგვიმარტოთ, რატომ არ მოხდა დაპირებისამებრ ყველა პედაგოგის საშუალო ხელფასის 800 ლარამდე ზრდა? ან/და იმის დაკონკრეტება, რომ 2017 წლის დასაწყისიდან საშუალო 800 ლარიანი ხელფასი პედაგოგების კონკრეტულ კატეგორიას გაუხდებოდა?

- 2015 წლის 20 თებერვალს დამტკიცებული - „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა“ პედაგოგების ხელფასების მატების შესახებ 2017 წლის შემდგომ ინფორმაციას არ მოიცავს. გთხოვთ, განგვიმარტოთ, რა პრინციპის საფუძველზე განხორციელდება 2018 და მომდევნო წლებში პედაგოგების ხელფასების მატება?

პატივისცემით,
დიმიტრი ავალიანი
ფაქტ-მეტრის მთავარი რედაქტორი

მისამართი:
თბილისი, მიცკევიჩის ქ. #27
საკონტაქტო პირი:
ნატალია ვახტანგაშვილი
მობ: 555260927 / e-mail: n.vakhtangashvili@factcheck.ge

GRASS 406077579 NNLE Georgia's Reforms Associates